განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის**

**შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ ჩვენი სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18-19 ივნისი, 2020 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 03.07.2020 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ჩვენი სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 404856544 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | + |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ნუცუბიძის ქ. №18, ბ. 11 |
| ფაქტობრივი მისამართი | ჩუბინაშვილის ქუჩა №42 |
| საფოსტო ინდექსი | 0164 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://www.chveniskola.edu.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | chveniskola 2010@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2953053; 2942540 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ქეთევან სიხარულიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599735893 |
| ელფოსტა | chveniskola 2010@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის №472703 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 18-19 ივნისი, 2020 წელი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ირინა დვალი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ცირა ნიკოლაშვილი |



## IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. დვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებზონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ჯვარელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი გამოვლენილი არ არის სტანდარტთან მიმართებით* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | |
| | *1.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | *ხარვეზი გამოვლენილი არ არის სტანდარტთან მიმართებით* |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | |
|---|---|---|
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | ხარვეზი გამოვლენილი არ არის სტანდარტთან მიმართებით |
| ქვესტანდარტი | 3.1. | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.4. | რეკომენდებულია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მრავალფეროვანი, მაღალ სააზროვნო უნარებზე და ცოდნის გამოყენებაზე ორიენტირებული დავალებები. |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | რეკომენდაცია სტანდარტთან მიმართებით არ გამოვლენილა |
| ქვესტანდარტი | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.3. | წახალისებისა და სანქციების სისტემის გამჭვირვალეობისათვის რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ჭვალ-ი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება. |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | სკოლის მისია და მის საფუძველზე განხორციელებული სასწავლო თუ სოციალური აქტივობები ხელს უწყობენ მუსიკალური ნიჭის მქონე მოსწავლეებში კულტურული, სოციალური, პიროვნული და აკადემიური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. სკოლის კურსდამთავრებულები იღებენ არა მარტო კონსერვატორიისთვის, არამედ სხვა უმაღლესი სასწავლებლისთვის შესაფერის ზოგად განათლებას.<br>სკოლაში ჩამოყალიბებულია კოლეგებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურა; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს პოზიტიური სოციალური ურთიერთობები, ურთიერთმხარდაჭერისა და აღიარების ატმოსფერო. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ა(ა)იპ ჩვენი სკოლა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორის სამუსიკო სემინარიასთან თანაარსებობის პირობებშია. ჩვენი ზოგადსაგანმანათებლო სკოლა შექმნილია მხოლოდ მუსიკალური ნიჭით გამორჩეული ბავშვებისათვის, რომლებიც ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეები არიან. აქედან გამომდინარე, ჩვენი სკოლის განსაკუთრებულობა მუსიკალური და ზოგადი საგნების ერთობლივ შეთანხმებულ სწავლებაში მდგომარეობს. რაც აისახება სკოლის სასწავლო საათობრივ ბადეში. ჩვენი სკოლის მისიაა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მოსწავლეებში საგნობრივი ცოდნის, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირებაზე ზრუნვა, მათი კულტურული, სოციალური, პიროვნული და აკადემიური ზრდისთვის ჰარმონიული და ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს სწავლება -სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვის საშუალებას, მოსწავლეებში ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების გამომუშავებას, მოქალაქეობრივი აზროვნებისა და პიროვნული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თავისუფლების მაღალ ხარისხს. ა(ა)იპ ჩვენი სკოლის მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი, სასწავლო პროცესში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების, ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება,სემინარიასთან თანაარსებობის პირობებში მუსიკალური და ზოგადი საგნების საფუძვლიანი შესწავლა, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა განაპირობებს იმ საბაზისო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც კურსდამთავრებულის კონსერვატორიისა ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას უზრუნველყოფს. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| მოსწავლეთა რაოდენობა: 158 | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |
|---|---|---|

*დანართი №1*

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის დროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ჩვენი სკოლის 2020-2021 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:<br>1. სკოლის მისია;<br>2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია საფეხურების მიხედვით;<br>3. 2020-2021 სასწავლო წლის კალენდარი;<br>4. დღის რეჟიმი;<br>5. საგნობრივი კათედრები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 6. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);<br>7. სასკოლო საათობრივი ბადე;<br>8. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;<br>9. სასწავლო რესურსების ჩამონათვალი( გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით)<br>10. სადამრიგებლო პროგრამა;<br>11. ინკლუზიური განათლება.<br><br>2020-2021 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით და 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.<br>პროექტში აღნიშნულია, რომ დისტანციური სწავლების შემთხვევაში, სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი. სკოლის მისიიდან და სპეციფიკური მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, ა(ა)იპ ჩვენი სკოლა ***დამატებითი სავალდებულო საგნის სახით*** მოსწავლეებს სთავაზობს ***ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ შემდეგ მუსიკალურ საგნებს:*** სოლფეჯიო II-XII კლასი, მუსიკის სამყარო - I კლასი, მუსიკალური ლიტერატურა - IV-XII კლასი, მუსლიტერატურის პრაქტიკუმი -IV კლასი, გუნდი - II-XII |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კლასი, მუსიკის ელემენტარული თეორია - IX კლასი, ქართული მუსლიტერატურა - XI-XII კლასი, ჰარმონია - X-XII , მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ანალიზი - XII კლასი, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება X-XII კლასი; აღნიშნული დამატებითი საგნების სასწავლო პროგრამები დანართი N4-ის სახით ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას. მოსწავლეები აღნიშნულ საგნებში ფასდებიან ჩათვლის პრინციპით.<br><br>სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს *დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების (ფასიანი) წრის სახით 2020-2021 სასწავლო წლიდან გახსნას* გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი - I-VI კლასის მოსწავლეებისათვის.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია კლასებისა და საგნების მიხედვით მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის ოდენობა. პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლება სკოლაში 2019-2020 სასწავლო წლიდან იწყება II კლასიდან. ინგლისური ენის სწავლების მეორე კლასიდან დაწყების შესახებ სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს თანხმობა. ინგლისური ენა საბაზო და საშუალო საფეხურებზე ისწავლება გაზრდილი საათობრივი დატვირთვით.<br><br>ფიზიკური აღზრდა და სპორტი ისწავლება I-XII კლასებში. სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურებზე არჩეული აქვს სპორტული ცეკვების სახეობები: აღნიშნული სახეობის არჩევას განაპირობებს სკოლის სპეციფიკა. ამასთან დაკავშირებით სკოლამ მიმართა მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლის 2020-2021 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• ა(ა)იპ ჩვენი სკოლის 2019-2020 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, ბრძანება N23/ს, 06/09/2019; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინგლისური ენის მეორე კლასიდან სწავლების შესახებ თანხმობის წერილი განათლების სამინისტროდან 24/07/2019.<br>• საგანთა თემატურ-კალენდარული გეგმები;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო და საადამრიგებლო პროგრამები, თემატურ-კალენდარული გეგმები, დამრიგებლების მუშაობის ამსახველი მასალების პორტფოლიოები, შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია.<br><br>სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. პირველი კლასის გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, II-XII კლასების გაკვეთილის ხანგრძლივობა - 45 წუთი. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა არის 5 წთ. მოსწავლეებს აქვთ ორი 10-წუთიანი შესვენება.<br><br>სკოლის საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი; ასევე, სამუსიკო საგნები ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნების სტატუსით. სკოლის აქვს მუსიკის სწავლების თავისი ინდივიდუალური საგნობრივი პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა მუსიკასთან დაკავშირებული საგნების სწავლება განხორციელდეს სკოლის მიერ წარდგენილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სქემის მიხედვით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით საშუალო საფეხურზე ისწავლება შემდეგი არჩევითი საგნები X კლასში - თეატრალური ხელოვნება (პრაქტიკული); XI კლასში - სახვითი ხელოვნების პრაქტიკული კურსი; XII კლასის პირველ სემესტრში - სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა. არჩევითი საგნების შეთავაზება ხდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად იმგვარად, რომ მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნების სწავლება და არ მოხდეს საგნის გამეორება.<br>16Tსკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა, მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, უცხოური ენების კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი კონცეფცია, დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობის ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები სადამრიგებლო საათის განხორციელების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• საგნის მასწავლებელთა პორტფოლიოები;<br>• მუსიკალური საგნების სასწავლო პროგრამები;<br>• შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია;<br>• კათედრის დებულება;<br>• სადამრიგებლო მუშაობის დებულება;<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები;<br>• დირექციასთან გასაუბრება;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფვკელი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ამ დროისათვის სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. სკოლა მზაობას აცხადებს, რომ სსსმ მოსწავლეს სკოლაში ჩარიცხვის შემთხვევაში, გაუწიოს სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.<br>დირექციასთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ ყველა ტიპის ინკლუზიას სკოლა ვერ გაუწევს მომსახურებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა (ინკლუზიური განათლების კონცეფცია);<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია ეროვნული სასაწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული შეფასების სისტემა, განმარტებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობა, აკადემიური მიღწევის დონეები. კლასისა და საფეხურის დაძლევის ზღვრები.<br>სკოლაში მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ 2019 წლის 06 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სექტემბერის N23/ს ბრძანებით, რომელიც მოიცავს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა დავალებისათვის ყველა საგანში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი განსაზღვრავს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას თითოეულ საგანში.<br>გასული სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოწოდებული წესების შესაბამისად. გამოყენებული დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივი უნარების განვითარებას და შეფასებას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში.<br>**რეკომენდებულია** შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მრავალფეროვანი, მაღალ სააზროვნო უნარებზე და ცოდნის გამოყენებაზე ორიენტირებული დავალებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა<br>დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერი 2019 წლის 06 სექტემბერი N23/ს შეფასების რუბრიკის ნიმუშები;<br>• შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუირება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**მშობელთა კრებაზე, მოსწავლეთა დღიურებით, ყოველთვი | ა(ა)იპ ჩვენი სკოლის მოსწავლის აკადემური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულების თანახმად მშობელთა ინფორმირება დამრიგებლების მიერ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის, სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ხდება საკლასო კრებებზე, რომელიც ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს. მშობლებთან ურთიერთობებისათვის შექმნილია სოციალურ ქსელში (Facebook) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ჯვარელი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დახურული ჯგუფები, რომლებშიც მასწავლებლები განათავსებენ დავალებებისა და სხვადასხვა სასკოლო აქტივობის შესახებ ინფორმაციას.<br>დებულების თანახმად, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება ყოველთვიურად მიწოდებული საინფორმაციო ნიშნების ფურცლით, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციის ფორმებით. აგრეთვე, განსაზღვრულია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობა და მისი საჯაროდ განხილვის დაუშვებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლის მოსწავლის აკადემური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება;<br>• სადამრიგებლო მუშაობის დებულება;<br>• ინტერვიუირება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ ჩვენი სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელსაც დანართის სახით ერთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების პერიოდები.<br>სასურველია, რომ დოკუმენტში განისაზღვროს თითოეული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;<br>• გასაუბრება დირექციათან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | **რეკომენდებულია** შემაჯამებელი დავალების კომპონენტში მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს მრავალფეროვანი, მაღალ სააზროვნო უნარებზე და ცოდნის გამოყენებაზე ორიენტირებული დავალებები. |
| რჩევები: | სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ნაწილში დაზუსტდეს დამატებით სავალდებულო მუსიკალური საგნების შეფასების წესი - ჩათვლა. დოკუმენტში განისაზღვროს თითოეული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. |
| ხარვეზები: | - |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ააიპ ჩვენი სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის 42-ში.<br>საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სსიპ-თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას მიეცა თანხმობა, რომ აღნიშნულ მისამართზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობიდან 400 კვ. მ. ფართი შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადით აუქციონის გარეშე, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლების გადაეცა ააიპ ჩვენი სკოლისთვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გარდა ამისა, სკოლასა და სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმებული მემორანდუმით, სკოლა სარგებლობს შენობის პირველ სართულზე არსებული სპორტული დარბაზით (80.22 კვ.მ.), შენობის მეორე სართულზე არსებული ბიბლიოთეკით, ფონოტეკისა და ვიდეოთეკის ოთახებით, პირველ სართულზე არსებული სააქტო დარბაზითა და სასადილოთი. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქუჩა №42 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 01.16.01.014.015 |
| *კვ.მ.* | 400 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 ივნისის 1183 განკარგულება<br>• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>• ააიპ ჩვენს სკოლასა და სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა განთავსებულია შენობის მარცხენა ფლიგელში, 2 სართულზე. სასწავლო პროცესის წარსამართად სულ 12 საკლასო ოთახია, აგრეთვე კომპიუტერული ოთახი, საკონცერტო დარბაზი, ექიმის ოთახი, დირექციისთვის 2 ოთახი, ბიბლიოთეკა-ვიდეოთეკა/ფონოტეკა. სპორტის დარბაზი.<br>ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით: ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისი მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, კარადებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | სკოლას შეძენილი და ასევე მემორანდუმით გადმოცემული აქვს სულ168 მერხი სკამით, 21 დაფა, 22 მაგიდა, 70 სკამი<br>სკოლას აქვს ეზო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შენობის აზომვითი ნახაზით<br>• ნასყიდობის ხელშეკრულებებით<br>• მემორანდუმით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი 80. კვ.მ. სარგებლობა სკოლას გადაცემული აქვს კონსერვატორიასთან დადებული მემორანდუმით; დარბაზს აქვს გასახდელები როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის, დარბაზი აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული აქტივობისათვის საჭირო ინვენტარით: მაგიდის ჩოგბურთის მაგიდით, კედლებით, 1 კრივის ბალიშით, ბურთებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• მემორანდუმი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია სველი წერტილითა და 2 ფანჯრით. ოთახში 4 დიდი მაგიდაა, რომლებიც განკუთვნილია ჯგუფური მუშაობისათვის, აგრეთვე მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი.<br>სკოლაში შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის დებულება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შპს მედიანა 2011-სგან შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• ნასყიდობის ხელშეკრულებით<br>• ლაბორატორიით სარგებლობის დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს ოთახების ბუნებრივ განათებას. სკოლის შენობა „ენერგო-პროს" აბონენტია და ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში, რასაც ადასტურებს გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითრები. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა და შესაბამისად უზრუნველყოფილია როგორც საკლასო ოთახების, ასევე დერეფნების გათბობა. ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. პირველ სართულზე ერთგანყოფილებიანი სსსპ პირისათვის ადაპტირებული ტუალეტია და ასევე სამკაბინიაბი ტუალეტები ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ბიჭებისათვის. მეორე სართულზეც ერთი 3-კაბინიანი და ერთი 2-კაბინიანი ტუალეტია კაბინა მომსახურე პერსონალისათვის. სველი წერტილები მოწესრიგებულია და მათში დაცულია ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება<br>• გადახდის ქვითრები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს შენობის მეორე სართულზე. იგი განეკუთვნება მემორანდუმით გადმოცემულ ფართს. ბიბლიოთეკა მოიცავს დიდ სამკითხველო დარბაზს, სადაც განლაგებულია დიდი კარადები წიგნებისთვის, მაგიდა სკამებით. ბიბლიოთეკაში არის 2 კომპიუტერი. ვიდეოთეკა და ფონოთეკა ცალ-ცალკე ოთახებშია და აღჭურვილია შესაბამისი რუსერსებით,<br>ბიბლითეკარმა წარმოადგინა წიგნადი ფონდის როგორც ანბანური კატალოგი, ასევე საგნობრივი კატალოგი. ბიბლითეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 15661 ერთეულს, მათ შორისაა 262 სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო და ასევე 194 დამხმარე სახელმძღვანელო, 134 ერთეული მხატვრული ლიტერატურა, სასკოლო ბიბლითეკის სერიის წიგნების 208ერთეული, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები მოზარდებისათვის 54 ერთეული დ ალბომები და ჟურნალები 14 ცალი. გარდა ამისა, ბიბლითეკაში ინახება 14495 ერთეული ნოტებისა და მუსიკალური ლიტერატურა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო.<br>აღსანიშნავია, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.<br>ბიბლიოთეკის კარებზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სამუშაო საათები (10.00 -17.00) და დებულება.<br>გაფორმებულია ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• კატალოგი;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლის შენობის შესასვლელში და შემდგომ პირველ სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელად გაკეთებულია დასაკეცი რკინის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პანდუსი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შენობის მეორე სართულზე ასვლა შესაძლებელია სხვა კიბითაც,<br>როგორც აღვნიშნე, პირველ სართულზე სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებულია სველი წერტილი |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხელშეკრულება პანდუსის დამზადების თაობაზე |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | პირველ სართულზე განთავსებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, სადაც განლაგებულია მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მერხები სკამებით. ოთახში განთავსებულია 8 კომპიუტერი მოსწავლეებისათვის, 1 კომპიუტერი მასწავლებლისათვის. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ყველა მუშა მდგომარეობაშია. სკოლის მფლობელობაშია სულ 2 პერსონალური კომპიუტერი. სკოლას მფლობელობაშია ასევე 2 კომპიუტერი, 4 პრინტერი და 1 პროექტორი.<br>სკოლას გაფორმებული აქვს ჰოსტინგის და დომენის მომსახურების ხელშეკრულებები.<br>სკოლის ვებგვერდია: www.chveniskola.ge, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის, სასწავლო პროცესის, დირექციის, მასწავლებლების, სიახლეების შესახებ. ვებგვერდზე ატვირთულია სკოლის შინაგანაწესი და ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტოები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულება;<br><br>• დომენის ხელშეკრულება;<br>• კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• შესყიდვების დოკუმენტაცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ ჩვენს სკოლაში შემუშავებდა ,,უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების წესი და პირობები“. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულია მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან დადებულია ხელშეკრულება 112-თან შენობა-ნაგებობების სახანძრ-ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის თაობაზე“. დირექტორის ბრძანებით სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების კომისიის ჯგუფი.<br>ასევე დირექტორის ბრძანებით დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | • დირექტორის ბრძანება<br><br>• ხელშეკრულება მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვის თაობაზე<br>• ხელშეკრულება 112-თან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და განსაზღვრულ წერტილებზე განთავსებულია ცეცხლმაქრები-სულ 7 ერთეული. ცეცხლმაქრები დატენილია და მათზე განსაზღვრულია ცეცხლმაქრის ექსპლუატაციის ვადა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | • ხელშეკრულება ევაკუაციის გეგმის შემუშავების შესახებ<br><br>15.05.2020<br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ექიმთან.<br>1-ლ სართულზე გამოყოფილია ოთახი ექიმისთვის, სადაც სამედიცინო ტახტია, კარადა წამლებისათვის, ექიმის მაგიდა სკამით. ექიმმა წარმოადგინა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში ,, ,,უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების წესი და პირობები“, სადაც გაწერილია სხვადასხვა ვითარებაში ექიმის მიერ გასატარებელი ღონისძიებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ექიმთან დადებული ხელშეკრულება<br><br>• ვიზუალური დათვალიერება<br>• ანგარიშ-ფაქტურები<br>• დირექტორის ბრძანება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შემუშავებული დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია:<br>ა) შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე;<br>ბ) თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი<br>გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმები<br>სკოლას ჰყავს 1 დაცვის თანამშრომელი და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთაც ევალებათ სკოლის გარე და შიდა პერიმეტრის მეთვალყურეობა. მათთვის გამოყოფილია სპეციალური ოთახი შენობის პირველ სართულზე, სკოლაში შესასვლელ კართან. ოთახში განთავსებულია მონიტორი, რომელზეც შესაძლებელია კამერების ჩანაწერებზე პირდაპირ რეჟიმში დაკვირვება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლების მორიგეობა დერეფნებში, რომლის განრიგიც გამოკრულია ყველა სართულზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | სკოლაში შემუშავებული დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დამონტაჟებულია 11 კამერა, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, კერძოდ, შენობის შესასვლელში 2 კამერა, პირველი სართულის ფოიეში-1 კამერა, ეზოში გასასვლელში, რომელი აკონტროლებს ეზოს-2 კამერა, სართულების დერეფნებსა და ბიბლიოთეკაში-6 კამერა. გარე პერიმეტრის კამერები აკმაყოფილებენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | • ხელშეკრულება კამერების დამონტაჟების თაობაზე<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები- დებულებები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ სკოლა საქმიანობას წარმართავს შემუშავებული დოკუმენტაციის მიხედვით |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• სხვადასხვა შიდა სასკოლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის ერთწლიანი (2020-2021) განვითარების გეგმა და ექვსწლიანი 2020-2025 წლების სტრატეგიული გეგმა. გეგმები ეფუძნება სკოლის მისიას და ითვალისწინებს სკოლის როგორც ინსტიტუციურ განვითარებას, ასევე მატერიალურ რესურსების გაუმჯობესებას და სწავლება-სწავლის პროცესის სრულყოფას |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის განვითარების 1-წლიანი გეგმა<br>• სკოლის სტრატეგიული განვითარების 6-წლიანი გეგმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ააიპ ჩვენს სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლიც მიხედვითაც წარმოებს სკოლაში საქმისწარმოების პროცესი.<br>ამის შესაბამისად, სკოლის კანცელარიამ წამოადგინა შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი, ხელშეკრულებები აღრიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, გვერდები დანომრილია, დალუქულია, გამოწმებულია სკოლია ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ააიპ ჩვენი სკოლის საქმისწარმოების წესი;<br>• შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ხელშეკრულებების აღრიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | მატერიალური სტანდარტის მოთხოვნებთან, მისი კრიტერიუმებების შესრულებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გვაქვს |
| რჩევები: | მატერიალური სტანდარტის მოთხოვნებთან, მისი კრიტერიუმებების შესრულებასთან დაკავშირებით რჩევები არ გვაქვს |
| ხარვეზები: | ხარვეზები არ გამოვლენილა |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის მიმდინარეობის უზრუნველყოფისათვის ა(ა)იპ ჩვენი სკოლას ჰყავს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი; სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას მართავს დირექტორი, სასწავლო პროცესის მონაწილეები პირები არიან: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ბუღალტერი, 24 მასწავლებელი, იურისტი, საქმეთა მმართველი, ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკარის დამხმარე, ექიმი, ფსიქოლოგი, რეჟისორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მებაღე, მუშა, დამლაგებელი, დარაჯი. მასწავლებლები, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფვალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აგრეთვე, ასრულებენ დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, გახანგრძლივებულის მასწავლებლის ფუნქციებს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით დაგეგმილია ჭადრაკის სწავლება III-IV კლასებში. ამ ეტაპისთვის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება ჭადრაკის პედაგოგთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორებ ი: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლის საშტატო განრიგი, ბრძანება N42/ს,<br>27.12.2019;<br>• ხელშეკრულებები;<br>• დასაქმებულთა პირადი საქმეები;<br>• ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 24 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 6 |
| უფროსი მასწავლებლი | 11 |
| წამყვანი მასწავლებლი | 5 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული 24 პედაგოგი შერჩეულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პედაგოგი ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში სამუსიკო მიმართულების საგნების სწავლებას უზრუნველყოფს 7 პედაგოგი, რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია სამუსიკო სემინარიის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ა(ა)იპ ჩვენი სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს. სკოლას შემუშავებული აქვს წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.<br><br>შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა მიღების და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესებს. მასწავლებელთა მიღება ხორციელდება კონკურსის გზით. სკოლა ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია აქვეყნებს სამსახურის მაძიებელთა ვებგვერდებზე, მათ შორის - teachersjobs.ge-ზე. სამუშაოზე მისაღებად დირექტორი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს იმ დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების გამოსატანად სამუშაოზე მიღების თაობაზე. კონკურსის ეტაპებია: განცხადების გადარჩევისა და გასაუბრება, რომელთა საფუძველზე ვაკანტურ პოზიციაზე მისაღები კანდიდატურის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.<br><br>შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულთა წახალისების ფორმებს; აგრეთვე, დისციპლინურ გადაცდომებსა და სახდელის სახეებს.<br>**შინაგანაწესში არ არის დეტალურად განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური სახდელებისა თუ წახალისების ფორმების გამოყენება რომელ შემთხვევებში მოხდება.**<br>**წახალისებისა და სანქციების სისტემის გამჭვირვალეობისათვის რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლის შინაგანაწესი, ბრძანება N40/ს, 30.06.2015; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. ხელშეკრულებები არის დანომრილი და აღრიცხული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომლის მიხედვით თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; დაწესებულებაში პერიოდულად იმართება ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით. პედაგოგები პროფესიული განვითარებისათვის წარმატებით იყენებენ ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიას; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ ჩვენი სკოლა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, 2016 წლის 5 სექტემბრის 31/ს ბრძანებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ფვ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.<br><br>სკოლაში იმართება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებები; კონცერტები, სპექტაკლები, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვები, მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და საგანმანათლებლო აქტივობებში.<br><br>ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კოლეგებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურა; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობს პოზიტიური სოციალური ურთიერთობები, ურთიერთმხარდაჭერისა და აღიარების ატმოსფერო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ვებ-გვერდის შესწავლა;<br><br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | წახალისებისა და სანქციების სისტემის გამჭვირვალეობისათვის რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს კონკრეტული დისციპლინური სახდელების დაკისრება რომელი დისციპლინური გადაცდომების შემთხვევაში მოხდება. |
| რჩევები: | ----- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| ხარვეზები: | ----------- |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

2020-2021 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

თბილისი
26.06.2020
გვერდების რაოდენობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------
ბ.ა.